სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№01-04/43 19.06.2020 წ.350

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 5 ივნისის №01-04.39 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

1. შეტანილი იქნას ცვლილება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 5 ივნისის № 01-04.39 ბრძანებაში საგაზაფხულო სემესტრში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურ ენოვანი), მაგისტრატურის, დამატებით (minor) და მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამებზე დასკვნითი საგამოცდო პროცესის ონ-ლაინ, ცენტრალიზებული წესით, ორგანიზებულად წარმართვის შესახებ და ამ ბრძანების მე-8 მუხლი ფორმულირებული იქნას შემდეგი სახით: იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც ტექნიკური პრობლემების (ინტერნეტის არქონა, კომპიუტერის არქონა) გამო არ შეუძლიათ ჩააბარონ დასკვნითი გამოცდა ონ-ლაინ, სტაციონალური (ე.წ. სამაგიდო), ან პორტატული (ლეპტოპი/ნოუთბუკი) კომპიუტერის (მინიმუმ შემდგომი მონაცემებით: windows 7 Sp1; ოპერატიული მეხსიერება 2 გბ; ადგილი მყარ დისკზე 300 მბ; ვებ - კამერა; ინტერნეტის სიჩქარე - 500კბ/წ; NetFramework 4.7.2; Microsoft visual studio c++ 2015) გამოყენებით, სათანადო განცხადებით მომართვის საფუძველზე, მიეცეთ უფლება დასკვნითი გამოცდები ჩააბარონ ფაკულტეტების დეკანების მიერ ფორმირებული და დამტკიცებული ცხრილების მიხედვით, უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილ სივრცეებში, 2020 წლის 22 ივნისიდან, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინიტროს, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ დადგენილი ძირითადი რეკომენდაციების დაცვით;
2. ამ ბრძანების 1-ლ მუხლში მითითებული ვადების გათვალისწინებით, უნივერსიტეტში ორგანიზებულ სივრცეებში, გამოცდების ჩაბარების უფლება, ფაკულტეტების დეკანების მიერ არგუმენტირებული მოხსენებითი ბარათის წარმოდგენის საფუძველზე, მიეცეთ სტუდენტებს, იმ სასწავლო კურსების ფარგლებში, რომლების მიხედვით დასკვნითი გამოცდების ჩაბარება შეუძლებელია კომპიუტერის გამოყენებით;
3. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინიტროს რეკომენდაციებისა და უსაფრთხოების წესების დაცვა დაევალოს უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის განყოფილებას (მ.საღინაძე) და სამედიცინო პერსონალს;

4. უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსმა (ე. ცირეკიძემ) უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა დეკანატებში, ენათა ცენტრში და შესაბამის სამსახურებში;
5. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება;
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შალვა კირთაძემ.

რექტორი: პროფ. რ. კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი: იმერი ბასილაძე